№ 150 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წლიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, ივლისის 7 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვალირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82


## ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს მიმდინარე წლის ივლისის 19-ს ამავე ერობის ხმოსანთა მორიგო (მეხუთე) ყრილობას. განსახილველი საკითხები:

1) მოხსენება გამგეობისა წასული წლის მოქმედების შესახებ.

2) 1920 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

3) მუხიანის, მუხაყრუის და დიდი-ჯიხაიშის უბნების მომრიგებელ-მოსამართლეთა არჩევა.

4) წვრილი ერთეულები.

5) სესხის აღება.

6) გამგეობის წევრის არჩევა.

7) მიმდინარე საკითხები.

ყრილობა გაიხსნება ზემოხსენებულ რიცხვს დილის 10 საათზე ერობის ბინაზე.

ერობის გამგეობა.

723 6—2

## ქუთაისის საცდელი მინდორი

აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის 14-ს დილის 10 საათზე საცდელ მინდვრის ეზოში, მდებარე სადგურ აჯამეთთან (ყოფილ ანანოვის მამულში) გაიყიდება საჯარო ვაჭრობის წესით

**ხეხილის ბაღის მოსავალი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი**

და სხვა ხილი. ბაღი არის ზომით დაახლოვებით 3 ქცევა. საჯარო ვაჭრობა დაიწყობა 50,000. მანეთიდან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ 10 პროცენტი დასაწყისი თანხისა. დანარჩენი თანხა უნდა იქნეს შემოტანილი ხილის წაღების დროს. ყოველივე დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქუთაისის საცდელ მინდორზე სადგურ აჯამეთთან.

1744 3—2

## ტფილისის მაზრის ერობის გამგეობა აცხადებს,

რომ ამა წლის 18 ივლისს გამგეობის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 6) დილის 10 საათზე შესდგება მაზრის ხმოსანთა მე-VII ყრილობა, რომელიც განიხილავს ახალ საანგარიშო წლის ბიუჯეტს და სხვა მიმდინარე საკითხებს.

გამგეობა.

1752 1—1


### ოფიციალური განყოფილება

## კანონი

**საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული დებულება საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოსი.

2. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივნისის 29-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

**საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დებულება.**

1) საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭო არსდება იუსტიციის სამინისტროსთან და მის წევრებად ითვლებიან: რესპუბლიკის სასამართლო პალატის პროკურორი (იგივეა საბჭოს თავმჯდომარე, თუ იუსტიციის მინისტრმა ამ თანამდებობაზე სხვა პირი არ დანიშნა), ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი, რესპუბლიკის საპატიმროთა ინსპექტორი, ტფილისის ქალაქის მოურავი, ტფილისის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე, ნაფიც ვექილთა საბჭოს წარმომადგენელი, ტუსაღთა მფარველი საზოგადოების წარმომადგენელი. საბჭოში მოწვეულ იქნებიან აგრეთვე სხვა სამინისტროთა წარმომადგენელნი, იმ კერძო საკითხთა განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, ამა თუ იმ სამინისტროს საუწყებო საგანს რომ შეეხება.

**შენიშვნა:** თუ მუდმივ წევრს ავადმყოფობისა ანუ სხვა რაიმე მიზეზისა გამო არ შეუძლია საბჭოს სხდომას დაესწროს, უფლება აქვს თავის ნაცვლად სხვა შესაფერი პირი გამოგზავნოს სხდომაზე, მხოლოდ ეს გარემოება წერილობით უნდა აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს.

2) იუსტიციის მინისტრის ან საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება საბჭოში მოწვეულ იქნენ სათათბირო ხმით გარეშე პირნიც, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფნი, ისე არა მყოფნიც, რომელთაგანაც საბჭოში განსახილველ საკითხთათვის სასარგებლო აზრისა და ცნობის მიღებაა შესაძლებელი.

3) საპატიმროთა საქმის უმაღლეს საბჭოს უნდა წარედგინოს ყოველი კანონ-პროექტი და მნიშვნელოვანი მოხსენება, რომელიც შეეხება საპატიმროთა წყობილებისა და მართვა-გამგეობის წეს-რიგს, პატიმართა რჩენაშენახვის და გადაგზავნის წეს-რიგს, საპატიმრო დაწესებულებათა და საზოგადოებათა მოწყობას, ახალ საპატიმროთა აშენებას, პატიმართა ზნეობრივად გაფაქიზებას, პატიმართა შრომის დებულების შეცვლას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამუშაოთა და პატიმართათვის სასოფლო-სამეურნეო ახალშენების მოწყობას, საპატიმროთა მეურნეობის გაუმჯობესებას, საპატიმროთა უწყების სახელმწიფო და სპეციალ საშუალებათა ანგარიშის წარმოების წესის შეცვლას, საპატიმრო ნაწილის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვას, და აგრეთვე ყოველი საქმე და საკითხი, რომლის გადაცემას საბჭოსათვის საჭიროდ დაინახავს იუსტიციის მინისტრი, საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ან იუსტიციის მინისტრის ცალკე ნებართვით, რესპუბლიკის საპატიმროთა ინსპექტორი.

4) საბჭოს ყოველ მუდმივ წევრს უფლება აქვს დაუბრკოლებლად დაათვალიეროს საპატიმროები ყოველ დროს სახელიანი ბილეთით, რომელიც საბჭოს თავმჯდომარისაგან მიეცემა. საპატიმროს დათვალიერების დროს საბჭოს წევრის მოთხოვნილებით საპატიმროს უფროსი ვალდებულია აუწყოს მას ყოველივე ცნობა იმისთვის თუ, რა მდგომარეობაშია საპატიმრო, მისი ადმინისტრაცია, ქონებრივი და სამეურნეო ნაწილი, როგორ ინახვენ პატიმრებს, რა მდგომარეობაშია პატიმართა შრომის საქმე, საპატიმროს სკოლის მეცადინეობა და სხვა. ყოველივე თავისი შენიშვნა საპატიმროს დათვალიერების გამო საბჭოს წევრს შეუძლია ჩასწეროს საპატიმროს კონტორის ცალკე დავთარში, რომელიც დამთვალიერებელთათვის არის შემოღებული, და ან წერილობით წარუდგინოს იუსტიციის მინისტრს ან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.

5) საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი უნდა ჩაიწეროს ოქმში, რომელიც იმ წევრთა ცალკე აზრით, საერთო დანასკვს რომ არ ეთანხმებიან, იუსტიციის მინისტრს უნდა წარედგინოს განსახილველად და საკითხის გადასაწყვეტად.

6) საბჭოში მდივნის მოვალეობას ასრულებს ერთი-ერთი წევრი საბჭოს არჩევით ან სპეციალურად ამისთვის მიწვეული პირი.

7. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივნისის 29-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## კანონი

**ტფილისის სასამართლო პალატის დამატებითი შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის ივნისის 1-დან ამ კანონთან დართული ტფილისის სასამართლო პალატის დამატებითი შტატი.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული სასამართლო პალატის დამატებითი შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის ივნისის 1-დან ყოველთვიურად ცხრამეტი ათას ხუთასი (19,500) მანეთი.

3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

1920 წ. ივნისის 29-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## დამატებითი შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

**ტფილისის სასამართლო პალატის 1920 წლ. ივნისის 1-დან.**

| №№ რიგზე. | თანამდებობა და ხარჯის დანიშნულება. | რიცხვი. | თვითეულის თვიურად. | ყველას 1920 წ. ივნისის 1-დან. |
|---|---|---|---|---|
| 1 | პალატის პროკურორის ამხანაგი . . . | 2 | 4800 | 9600 |
| 2 | პროკურორის კანცელარიის მოხელე | 2 | 1300 | 2600 |
| 3 | პროკურორის კანცელარიის მანქანით გადამწერი. . . . | 1 | 1300 | 1300 |
| | ჯამი. . | 5 | 7400 | 13500 |
| 4 | საკანცელარიო ხარჯი. | — | — | 2000 |
| 5 | საგზაო ხარჯი . . . | — | — | 4000 |
| | ჯამი. . | — | — | 6000 |
| | სულ . . | — | — | 19500 |

ცხრამეტი ათას ხუთასი (19.500) მანეთი.

1920 წ. ივნისის 29 ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## კანონი

**სამსახურის ვადის განდიდებისა სასწავლო მცირე გუნდებში სწავლა დამთავრებულ ჯარის კაცთათვის.**

1919 წლის ივლისის 31 კანონის-სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შესახებ (1919 წლ. კან. კრებ. № 14 კანონი 125) მე-9 მუხლს მიემატოს შემდეგი შენიშვნა:

იმ ჯარის კაცთათვის, რომელთაც სასწავლო მცირე გუნდებში სწავლის დამთავრების შემდეგ ეძლევათ წოდება:

1) მესანგრე ათასეულში: დურგლისა, მესიდისა, ტელეგრაფისტისა და ტელეგრაფის და ტელეფონის მექანიკისა;

2) საავტომობილო გუნდში: შოფერისა;

3) საავიაციო გუნდში: მემოტორისა და მფრინავისა;

4) რადიო ტელეგრაფის გუნდში: რადიო-ტელეგრაფისტისა და რადიო-ტელეგრაფის მექანიკისა, ჯარში ნამდვილი სამსახურის ვადა განისაზღვრება ორი წლით.

1920 წ. ივნისის 25-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## კანონი

**სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა.**

დროებით, აგრარული რეფორმის დამთავრებამდე, სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1368 მუხლის მე-5 პუნქტი შეიცვალოს ასე: „საქმეებისა უძრავი ქონების თაობაზე".

2. როდესაც სასამართლოში აღიძრება საჩივარი უძრავი ქონების საკუთრების, ან მფლობელობის უფლების თაობაზე, ან შეტანილ იქნება თხოვნა უძრავი ქონების, ხანგრძლივ მფლობელობის გამო, საკუთრებად დამტკიცებისთვის, მომრიგებელი მოსამართლე და ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, კუთვნილებისამებრ გაუგზავნის საჩივრის ან თხოვნის პირს მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამი კვირით ადრე საქმის განხილვის დღემდე.

1920 წ. ივნისის 25-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია**

## კანონი.

**ქ. ფოთის სასარგებლოდ ნავთსადგურით შემოტანილ-გატანილი საქონლისათვის საფუთო გადასახადის დაწესებისა.**

1. დაწესებულ იქნეს ფოთის ნავთსადგურით შემოტანილ-გატანილი საქონლისათვის ფოთის ქალაქის თვითმმართველობის სასარგებლოდ საფუთო გადასახადი, რომელიც უნდა განისაზღვროს რესპუბლიკის ნავთსადგურებისათვის 1919 წ. დეკემბრის 13-ს კანონით დაწესებული საფუთო გადასახადის ორმოცდა ათი (50) პროცენტით (კან. და მთავრ. კრებ. 1920 წ. № 22, კანონით № 223).

2. ფოთის ნავთსადგურით შემოტანილ-გატანილი საქონლისთვის საფუთო გადასახადის აკრეფა დაევალოს ადგილობრივ საბაჟოს.

**შენიშვნა:** პირველ (1) მუხლში აღნიშნული საფუთო გადასახადი გავრცელებულ არ იქნეს ფოთის ნავთსადგურით შემოტანილ-გატანილ შავქვაზე.

3. ამ კანონით დაწესებული საფუთო გადასახადის მთელი შემოსავალი გადაეცეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის ქალაქის თვითმმართველობას, რომელიც ვალდებულია საფუთო გადასახადისაგან შემოსული ნახევარი თანხა მოახმაროს ნავთსადგურის გაუმჯობესებას, გზათა დეპარტამენტთან შეთანხმებით.

4. გაუქმებულ იქნეს ფოთის ნავთსადგურით შემოტანილ გატანილი საქონლისთვის 1919 წლ. მაისის 21-ს კანონით დაწესებული საფუთო გადასახადის ნორმები და მისი განაწილების წესი.

3. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივნისის 25.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# ბრძანება
## ქ. ტფილისის კომენდანტისა.
### ივლისი, 1920 წ. № 8

ზოგიერთი ოფიცრები, როგორც ჩამოსულები, აგრეთვე ადგილობრივ გარნიზონისა, შედიან რა საზოგადო ალაგებში (კლუბებში, რესტორანებში), სამხვრალისას თავის თავს აძლევენ ნებას არა საკადრისად ქცევისა. მარტო სიმშვიდეს, შეგნებას თავის საკუთარ ღირსებისა და თვით დისციპლინას, წესრიგის მოყვარეობას შეუძლიან შეუქმნას ოფიცერს მტკიცე მდგომარეობა საზოგადოებაში. ოფიცრები იმას კი არ უნდა ფიქრობდენ, რომ ისინი შეადგენენ უპირატესობის მქონე კლასს საზოგადოებისას არამედ ისინი თითონ თავისი ყოფაქცევით უნდა ჰქმნიდენ მას ასეთად. ყოველივე მხედარი უნდა განიმსჭვალოს იმ აზრით, რომ ადამიანს სამხედრო ფორმა კი არ ხდის მისი ტარების ღირსად, არამედ თვით ადამიანი უნდა გახდეს ღირსი ასეთის ტარებისა, რისთვისაც მან არასოდეს თავის თავს ნება არ უნდა მისცეს ისეთი საქციელის ჩადენაში, რომელსაც შეუძლიან ჩრდილი მოსცხოს უმაღლეს სახელს მხედარ — ქართველისა, რომლითაც ყოველთვის ამაყობდა ჩვენი სამშობლო ყველა ერების წინაშე.

უსაფუძვლო ამაყობა და დიდგულობა, რომელიც სრულიად არ შეესაბამება თავისუფალ რესპუბლიკის მოქალაქე—ოფიცერს, საზოგადოების მხრივ იწვევს მხოლოდ მხედრის დამაცინვითი დამოკიდებულებას. შეგნება მხედარზე და უმაღლესი ღირსება, რომელიც დაკავშირებულია ამ სახელთან სრულებით არ შეურაცხყოფს ოფიცერს, რომელიც იცავს სიმშვიდეს, ტაქტს, თავდაჭერილობას და ეთიკას.

საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველივე შემთხვევაში, ზემო ჩამოთვლილ შეგნებების დარღვევა, კიდევ ერთხელ ვამტკიცებ, სულ ყველას თვალში ამცირებს ამნაირ საქმის ჩამდენს. ყოველივე ოფიცერს უნდა ახსოვდეს, რომ თვისება მისი სამსახურისა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველივე წუთში იყოს მზად შესწიროს თავისი თავი მშობელ რესპუბლიკის კეთილდღეობას. ეს განმზადება თავის თავად უკვე იმდენად ღირსეულია, რომ ყოველი მოქალაქე მიუძღვნის მას სათანადოს.

ვაფრთხილებ სულ ყველა სამხედრო სამსახურის პირთ, რომ იმ პირთ მიმართ, რომლებმაც არ იციან თუ როგორ უნდა თავის დაჭერა საზოგადო და სხვა ალაგებში, ჩემს მიერ მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები პასუხისგებაში მიცემამდისაც.

მოვითხოვ, რომ იმ სამხედრო პირებზე, რომლებიც: სადაც არ უნდა იყოს, არღვევენ საზოგადო წესრიგს, მეცნობოს მე სათანადო ზომების მიღებისათვის.

ქ. ტფილისის კომენდანტი, გენერალი
მ. ქაზაგიძე.
კომენდანტის უფრ. ადიუტანტი კაპიტანი
ქარციგაძე.

# გადასახლების განყოფილებიდან.
## სამაზრო და სათემო ერობებს.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებამ რამდენჯერმე აუწყა ყველა სამაზრო ერობებს, რომ კახეთში გადასახლება სრულიად შეწყვეტილია. განყოფილებაში აუარებელი თხოვნები მოდის კახეთში გადასახლების შესახებ და ყველმ ეს ერთი მხრით ტყუილა უბრალო ხარჯს აწევინებს მთხოვნელებს, ხოლო მეორე მხრით მათი ხშირი და უნაყოფო მიმართვა ართულებს განყოფილების მუშაობას. განყოფილება ერთხელ კიდევ სთხოვს ყველა სამაზრო და სათემო ერობებს აუწყონ ფართე მასსას, რომ თხოვნები კახეთში დასახლების შესახებ დაკმაყოფილებული არ იქნება. მსურველთ შეუძლიანთ გადასახლდნენ ყარაიაზში, ბორჩალოსა, ახალქალაქის და გორის მაზრის სავადასახლებო ფონდის ადგილებში.

ამ შემთხვევაში მათ მიეცემათ განყოფილებისაგან ფართო დახმარება: რკინის გზით გადაყვანა, სათესლე და სამეურნეო იარაღებით შენობების ასაგები მასალა, მეშა საქირნელი და პირველ მოსავლამდე ოჯახის და საქონლის გამოსაკვები სურსათ სასესხოდ.

განყ. გამგე მ. რუაშვილი.

არა ოფიციალური განყოფილება

# მიწათ-მოქმ. სამინისტროში
### სახელმწიფო მამულების მდგომარეობა.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულების განყოფილების გამგემ სახელმწიფო მამულების ყველა მმართველს შეკითხვით მიმართა სახელმწიფოზე გადაცემის დროს მამულის მდგომარეობის შესახებ. მას სურს გამოარკვიოს ზომები, რომელიც უნდა მიიღონ მომავალში ამ მამულების გასაუმჯობესებლად.

### ახალი კურორტები.

მიწად-მოქმედების სამინისტროსთან დაარსებული საგანგებო საკურორტო კომისია ჩურსინის თავმჯდომარეობით 5 ივლ. გაემგზავრა მანგლისს ახალი კურორტებისათვის საჭირო მიწების დასათვალიერებლად.

### ბორჯომის სანატორიუმი

მთავრობამ მოისმინა მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება ბორჯომში სანატორიუმის მოწყობის შესახებ. სასურველად იცნო სანატორიუმის მოწყობა და საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მიანდო ფინანსთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს.

# ბათომი
### მეჯლისის წარმომადგენლები.

კვირას მეჯლისის წარმომადგენლები მამედბეგ აბაშიძის მეთაურობით წარუდგენ საქართველოს მთავრობის საგანგებო წარმომადგენელს ბ-ნ ხოჭოლავას და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ.

### საქმეების ჩაბარება.

ქალაქში ტფილისიდან მოდიან სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები ძველი მთავრობიდან საქმეების მისაღებათ.

### ინგლისის წარმომადგენლები

ბარცხანაში მოვიდენ ინგლისის მთავრობის წარმომადგენლები გენ. კუკ-კოლისი და პულკოვ. სტოკსი, რომელთაც ჯარის მთავარსარდლობასთან საუბარი ჰქონდათ.

### ვ. ჯუღელის განცხადება.

საავენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარემ ვ. ჯუღელმა განაცხადა: საქართველოს გაერთიანებულ დემოკრატიის ნებამ გაიმარჯვა. ჩვენ შევდივართ ბათომში და ვერთებით ოლქს. ამისაკენ მიისწრაფოდა მთელი საქართველო. მისი შეიარაღებული ძალები უკვე ბათომის კარებთან დგას. გვარდია, როგორც ერთი კაცი, სიხარულის იმავე გრძნობით არის გატაცებული, როგორც ჯარის ნაწილები, რომელთაც საბედნიეროთ წილათ ხვდათ პირველათ ბათომში შესვლა. ბათომის პროლეტარიატმა, რომელიც ჩვენს ბრძოლაში ყოველთვის მოწინავე ელემენტს წარმოადგენდა, აქაც თავისი გააკეთა. ჩვენ შეგვხვდა 600 სახალხო გვარდიელი, რომელიც ბათომის დემოკრატიისაგან არის შემდგარი. ეს რაზმი, რომელიც გამოცდილი და გამობრძმედილი მეომართაგან შესდგება, საქართველოს ნაწილებთან ერთად ბათომის საიმედო დამცველი იქნება.

### მილიცია.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ბ-ნი ფაჩულია ბათომში ჩამოვიდა.

### მისალოცი დეპეშები.

მთავრობის თავმჯდომარეს გოდერძის უღელტეხილზე მდგომ ჩვენი ჯარის საველე შტაბიდან და თელავის სამაზრო ერობის მეხუთე ყრილობისაგან და ალბულაღის სარაიონო კომიტეტიდან მისალოცი დეპეშები მოუვიდა ბათუმის დაბრუნების გამო.

მისალოცი დეპეშა მოუვიდა აგრეთვე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ახალციხიდან.

### ჯარების ჩასვლა.

კვირას დილის 8 საათზე ჯარები შევიდა ბარცხანაში. დილის 1 საათზე ბათომიდან, იქ სადაც ჩვენი ჯარი იყო დაბანაკებული გაემგზავრენ დამფუძ. კრების წევრები, მეჯლისის წარმომადგენლები მემედ-ბეგ აბაშიძის თავმჯდომარეობით, ბათომის საზოგადო მოღვაწეები, საქართ. დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენლის და კინემატოგრაფის ტეხნიკების თანხლებით. ბარცხანა ეროვნულ დროშებით არის მორთული. გზის მთელი ხაზი ბათუმიდან დაწყებული მორთულია დროშებით, არკებით და გირლიანდებით. ვაგონები სულ მწვანეშია ჩაფლული. ჯარები დაბანაკებულია ზღვასთან მდებარე დიდ მინდორზე და მოუთმენლად ელიან ქალაქში შესვლას. მოვიდენ სახალხო გვარდიის უფროსი ჯუღელი, დვებუაძე და ხიმშიაშვილი, რომელიც უმაღლეს სარდლობასთან და დელეგატთან ერთად ათვალიერებდნენ ჯარებს და ჯარისკაცებს ესაუბრებოდნენ. საერთო განწყობილება საუცხოვოა. არაფერში ნაკლულოვანება არა სჩანს.

### ადმინისტრატიული აპარატი

შინაგან საქმეთა სამინისტროს საადმინს. განყოფილების გამგე ა. შენგელაია შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით გაემგზავრა ბათომს. საადმინს. განყოფ. დროებით აღმასრულებლად დაინიშნა ა. ცინცაძე.

### იტალიის რწმუნებული.

ივლისის 6-ს ტფილისიდან ჩამოვიდა იტალიის რწმუნებული მინისტრი ბ-ნი მერკატელლი, რომელსაც სადგურზე შეხვდა საპატიო ყარაული. მატარებლის მოსვლისას სადგურზე შეიკრიბენ ბათომში მყოფი მოკავშირეთა მისიები, საქართველოს ელჩი, გენ. მდივანი და სხ. იმავე დღეს მერკატელლმა ინახულა გენ. მდივანი, რომელსაც დიდ ხანს ესაუბრა.

— საბოლოოდ გამოირკვა, რომ ბათომში შევა ჯარი 7 ივლისს დღის 12 საათზე. 6 საათზე „აზ ზიის“ მოედანზე შესდგება ქართველი და მოკავშირეთა ჯარების ალლუმი, ალლუმის შემდეგ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებზე ბათომის გადაცემის გამო ცერემონიალი მოხდება.

# საბჭოთა რუსეთის ცხოვრებიდან
(დასასრული *).

### სანიტარია და ჯანმრთელობა.

რა თქმა უნდა იმის შემდეგ როცა გვამები ქუჩებში და მინდვრებში იხრწნება სანიტარიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. უსუფთაობის გამო გავრცელებულია ათასნაირი სენი, რომელიც მუსრს ავლებს მცხოვრებთ, რომლებიც კი გადაურჩებათ „ჩრეზვიჩაიკის“ სიკვდილს. საპირფარეშოები განადგურებულია ბევრგან. ბუნებრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ იქ სადაც შეხვდებათ, რის გამოც გამეფებულია საშინელი უსუფთაობა; თუმც ამ ბოლო დროს ასუფთავებიებენ „სუბოტნიკებს“ (შაბათობით მომუშავეთ) მაგრამ მაინც სიბინძურეა გამეფებული. როგორი იქნება ხალხის ჯანმრთელობა ასეთ პირობებში ეს ადვილი წარმოსადგენია.

### წითელი არმიელები.

აი რუსეთში დღეს გამეფებული მცხოვრებთა პირველი კატეგორია, რომელიც სარგებლობს ყოველგვარი უფლებით. ისინი კარგად ჭამენ-სვამენ და შემოსილიც საუკეთესოთ არიან. „ყველაფერი ფრონტისთვის“ იქ საუკეთესოთ არის განხორციელებული. ამიტომაც არის, რომ ვისაც ხელში თოფის დაჭერა შეუძლია, ყველა წითელ არმიელად ეწერება, რადგანაც ამაზე საუკეთესო თავისუფლად თავის რჩენის საშუალება დღეს რუსეთში არ არსებობს. წითელი არმიელის ოჯახებიც უზრუნველყოფილი არიან: ქალაქებში მათ ცოლშვილს არჩენენ, სოფლად კი უხნავენ, უთესვენ ყანებს და უმზადებენ წლის სარჩოს. რასაკვირველია წითელ არმიელებს ნაკლებად ეინტერესებათ კომუნისტური იდეები, ისინი მხოლოდ კუჭის გასაძღომად წითელარმიელობენ; ამისათვის ისინი უფრო ხალისიანად მიდიან იმ ქალაქების ასაღებათ, სადაც სამსუნაგო რამე ეგულებათ. ძალიან გახშირებულია მათ შორის დეზერტირობა; ჯგუფ-ჯგუფად მორბიან ფრონტიდან; მაგრამ ერთი ნაწილიდან გამოქცეული მეორე სამხედრო ნაწილში იწერება და ასე.

### ვინაა სპეკულიანტი ან ბურჟუა?

ვაჭრობა საერთოდ მოსპობილია. იმაზე მეტით ვაჭრობა, რის ტარებაც ხელით არ შეიძლება აკრძალულია; ვისაც რამდენიმე კოჭის ძაფი აქვს, რომელზედაც შეიძლება აგებს ვინემ იგებს, ის სპეკულიანტია. ნამდვილი სპეკულიანტები კი ადვილად აზერხებენ კომისრებთან საქმის მოგვარებას, ისინი იშვიათად ისჯებიან. სპეკულიანტები უფრო ადვილათ აზერხებენ სოფლად სურსათის შოვნას. ბურჟუა კი არის ყველა ის, ვინც ცოტად თუ ბევრად სუფთად ჩაცმულია და შედარებით ზრდილობიანათ და პატივისცემით ეპყრობა სხვის პიროვნებას.

### შრომა და მუშები.

შრომა სრულიად დაცემული იყო უკანასკნელ ხანამდე მაინც. მუშების მოთხოვნას არ აქცევენ ყურადღებას. იყო შემთხვევა როცა „რუსეთის საზოგადოების“ მუშებს, რიცხვით 6.000 კაცამდე—რამდენიმე თვის განმავლობაში არ მიეღოთ კუთვნილი ხელფასი; როცა ამის შესახებ მათ მიმართეს შრომის კომისარს ასეთი პასუხი მიიღეს: სთქვით გაბედულათ, რომ თქვენ გაფიცვით გვემუქრებით, მაგრამ ცდებით, ამხანაგებო,—გაფიცვა შეგეძლოთ ძველი მთავრობის დროს, როცა ან დაგატუსაღებდენ, ან ქვრას მოგიმატებდენ, ჩვენ კი თქვენთვის, გაფიცვა რომ გაბედოთ, საკმაოდ გვაქვს ტყვიის მფრქვეველები და სხვა სასროლი მასალები. სხვა მრავალი საბუთების მოყვანაც შეიძლებოდა იმის დასახასიათებლად თუ როგორ ეპყრობიან მუშებს საბჭოთა რუსეთში.

### სწავლა-განათლება.

სწავლა-განათლება ზოგ ადგილას სრულიად შეწყვეტილია; ზოგან კი არის, მაგრამ მხოლოდ ზაფხულობით რამდენიმე თვით, რადგანაც ზამთრობით სათბობ მასალის კრიზისის გამო შეუძლებელი ხდება სწავლება.

### გლეხობა.

გლეხობის უმეტესობამ სრულიად ხელი აიღო სამეურნეო მუშაობაზე. ოთხი წლის ომმა და რუსეთის დღევანდელმა წესწყობილებამ სრულიად გადააჩვია „გლეხის ხერხემალი გუთანს“; მას არა აქვს დიდი სურვილი ყანის მუშაობისა, რომ ზედმეტი პურნახული მოიყვანოს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მას ზედმეტ პურს ან სულ უფასოდ წაართმევენ ან თუ მისცემენ რამდენიმე მანეთს ფუთში იმ დროს, როცა ფუთი პური რამდენიმე ათეული თუმანი ღირს ბაზარზე. გლეხს ფული არც აინტერესებს, მის თვალში ფული არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ფულით ის ვერ შოულობს მისთვის საჭირო და აუცილებელ საგნებს, მაგ., მანუფაქტურას და სხვ. გლეხი წითელ არმიაში უფრო ხალისით ეწერება, ვინემ მუშაობს.

კიდევ აუარებელი ფაქტები მოიყვანა მომხსენებელმა დღევანდელი რუსეთის ჯოჯოხეთურ ცხოვრების შესახებ, მაგრამ უადგილობის გამო მეტს ველარ ვათავსებთ. საჭიროა მომხსენებელი უფრო ფართო წრეებში გააკეთებდეს თავის მოხსენებას, რომ ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ თითო-ოროლა ჩვენში ბოლშევიკების ამყოლ-დამყოლნი, თუ რა „სამოთხე“ დამკვიდრდება საქართველოშიაც, ბოლშევიკებმა ოდნავ მაინც რომ მოიპოვონ ნიადაგი... X.

*) იხ. „საქ. რესპ.“ № 149.

# ქართველ ოფიცრების დახვრეტის გამო ადერბეიჯანში.

ქართველ ოფიცრების ადერბეიჯანში დახვრეტის შესახებ გარეშე საქმეთა სამინისტრო იტყობინება შემდეგს: საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლის ექ. ალშიბაიას ცნობით ბაქოში 26 ივნისამდე დახვრიტეს 3 ქართველი ოფიცერი: პოლკოვნიკი ნიკოლოზ თუმანიშვილი, გენერალი ა. გ. მაყაშვილი და კორნეტი ა. თოფურიძე. პოლკოვნიკი თუმანიშვილი დახვრიტეს მაისის შუა რიცხვებში როდესაც საბჭოთა ადერბეიჯანი ეომებოდა საქართველოს და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ბ-ნი ალშიბაია მოკლებული იყო თავისუფლებას და საპატიმროში იჯდა, გენ. მაყაშვილს და კორნეტ თოფურიძეს 49 კაცთან ერთად ბაქოს საგანგებო კომისიის მიერ 12 ივნისს მისჯილი ჰქონდათ დახვრეტა. 13 ივნისს ადერბეიჯანის რევოლიუციურ კომიტეტის თავმჯდომარე ჰუსეინოვის მიერ განაჩენი დამტკიცებულ იქნა და 17 ივნისს ღამით ეს განაჩენი შესრულებულ იყო და დახვრიტეს გენ. მაყაშვილი და კორნეტი თოფურიძე. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი 29 მაისს დროებითი ზავის გამო გაანთავისუფლეს საპყრობილედან. 1 ივნისს ბ-ნი ალშიბაია გაემგზავრა აქსტაფაში საზავო პირობების შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებათ რომელიც მუშავდებოდა ადერბეიჯანის საბჭოთა მთავრობასთან. 13 ივნისს საღამოს 6 საათზე ბ-ნი ალშიბაია დაბრუნდა ბაქოში და მხოლოდ 14 ივნისს ბ-ნ ალშიბაიამ პირველად ინახულა ჰუსეინოვი და იცნეს რა იგი ოფიციალურ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად შეუდგა თავის თანამდებობის

შესრულებას. ამ დღიდან ბ-მა ალშიბაიამ მიიღო ყოველგვარი ზომები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სიცოცხლის და ქონების დასაცავად და აგრეთვე ბრიტანეთის, საფრანგეთის, პოლონეთის ქვეშევრდომების ინტერესების დაცვა და ამ მხრით ბ-ნმა ალშიბაიამ ბევრი რამ გააკეთა. პირველად იგი შეეცადა ტყვე ოფიცრების და ჯარის კაცების განთავისუფლებას. სძლია რა ის მძიმე პირობები რომელშიაც უხდებოდა მუშაობა ბ-ნ ალშიბაიას, განსაკუთრებით 11 არმიის მიერ რომელიც ძალიან ხელს უშლიდა მას, მან მოახერხა 24 ივნისს 8) სამხედრო ტყვეთა და განჯის რაიონის ოფიცრების განთავისუფლება და მათი სამშობლოში გამოგზავნა. გენერ. მაყაშვილის და კორნეტ თოფურიძეს დახვრეტის თავიდან აცდენა მან ვერ მოახერხა, რადგან სიკვდილის განაჩენი გამოტანილ იქნა 12 ივნისს და ამ დროს ბ-ნი ალშიბაია იმყოფებოდა აქსტაფაში. ბაქოში ჩვენი წარმომადგენელი ალშიბაია ჩავიდა 13 ივნისს საღამოს 6 საათზე და სიკვდილის განაჩენი 49 ოფიცრებზე, გენ. მაყაშვილზე და კორნეტ თოფურიძეზე დადასტურებულ იყო 13 ივნისს ღამის 11 საათზედ. ამ განაჩენის დამტკიცების შემდეგ რომელიც შესრულდა რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ჰუსეინოვის მიერ ვერა გზით ველარ მოხერხდა განაჩენის გაუქმება. გენერალ მაყაშვილის და კორნეტ თოფურიძის დახვრეტა მოხდა 17 ივნისს ღამით. გენერ. მაყაშვილის და კორნ. თოფურიძის დახვრეტის ამბავი ქალაქში გავრცელდა პირველად 20 ივნისს. 21 ივნისს ბ-ნმა ალშიბაიამ ინახულა სახალხო კომისარი ჰუსეინოვი, რომ შეემოწმებინა ამ ხმების სიმართლე. როდესაც ბ-მა ალშიბაიამ მიიღო განმარტება და გავრცელებული ხმები გამართლდა ალშიბაიამ სასტიკი პროტესტი განუცხადა ჰუსეინოვს და სიტყვიერად უთხრა შემდეგი: „თუ დამტკიცდა რომ გენერალი მაყაშვილი დაიხვრიტა 18 ივნისის შემდგომ, რომლის შემდეგ მე მივიღე ნებართვა რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ცხოვრების უზრუნველსაყოფად მე მომეცემოდა გამოსაძიებელი საბუთები. მაშინ მე დავანებებ თავს ჩემ თანამდებობას და გავემგზავრები ტფილისში. თქვენ არ გსურთ შეასრულოთ თქვენი დაპირებანი და გარანტიები და ამისთანა ატმოსფერაში მე არ შემიძლიან ვიმუშაო".

სახალხო კომისარმა ჰუსეინოვმა დაუყოვნებლივ გამოიწვია საგანგებო გამომძიებელ კომისიის თავმჯდომარე პანკრატოვი რომელმაც წარადგინა მთელი გამოსაძიებელი საბუთები, რომლიდანაც გამოირკვა რომ 49 ოფიცრის და მოქალაქის და მათ შორის გენ. მაყაშვილის, კორნ. თოფურიძის სიკვდილის განაჩენი გამოტანილი ყოფილა 12 ივნისს, ხოლო დამტკიცება სიკვდილის განაჩენისა მოხდა 13 ივნის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ღამის 11 საათზედ. გენერ. მაყაშვილს და კორნეტ თოფურიძის დახვრეტა კი მოხდა 17 ივნისს. გენერალ მაყაშვილის ბრალი ედებოდა იმაში რომ ის სასტიკად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ მუსავატის მთავრობასთან და აგრეთვე იმაზედაც რომ მაყაშვილი მუშაობდა განჯის ამბოხებაში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგაც; კორნეტ თოფურიძეს კი აბრალებდენ კონტრ-რაზვედკას ბოლშევიკებისადმი.

23 ივნისს, საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბაქოდან ექ. ალშიბაიასგან 20 ივნისის თარიღით მიიღო შემდეგი დეპეშა: ტფილისი. გარეშე საქმ. მინ. გეგეჭკორს. საზავო ხელშეკრულების პირველი მუხლი რომ დაუყონებლივ გაცვლილ ყოფილიყო სამხედრო ტყვეები ჯერ არ არის შესრულებული. ჩვენი სამხედრო ტყვეები რიცხვით 72 კაცამდე ვითომ მათ სურდეთ წითელ არმიაში შესვლა თხოულობენ იმათ დარჩენას აქ. მე დაჟინებით პროტესტს ვაცხადებდი და ვუმტკიცებდი, რომ მათი სურვილი გამოწვეული იქნება რეპრესიის შიშით და არა თავისუფალი ნებისყოფით. მოვახერხე რა აზერ-რევკომს დაედგინა სამხედრო ტყვეების დაბრუნება, მხოლოდ იმ პირობით კი თუ ისინი იტყოდენ ჩემს წინაშე თავიანთ სურვილს წითელ არმიაში დარჩენის შესახებ, მაშინ ყველანი უნდა დამერჩუნებინა აქ. მოვითხოვე საქართველოს გასამაგრებელ რაიონის ოცი ოფიცერის საქართველოში თავისუფლად გაშვების შესახებ, რომელთაც აღარ მოისურვეს ადერბეიჯანში სამსახურში. შეიპყრეს ათ ოფიცრამდე მაყაშვილის დ ჩხეიძის მეთაურობით, რომელთაც ბრალდებოდათ განჯის ამბოხების და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მუშაობა.

ჩემი მოთხოვნით მე გამაცნობენ ყველა იმ გამოსაძიებელ საბუთებს, რომელიც კი შეეხებათ ამ ოფიცერთა და მოქალაქეთა დანაშაულობის და ბრალდების შესახებ. საფრანგეთის ვიცე-კონსული დიურა და 4 საფრანგეთის მოქალაქე განთავისუფლებულ იყვნენ ჩემი შუამდგომლობით. ინგლისის და პოლონეთის მისიები გადაიყვანეს ყოფილ ქალაქის გარედ ნობელის ვილაში. მიუხედავად ბ-ნ ალშიბაიას დამშვიდებულ ხასიათის დეპეშისა ბაქოს ამღელვებელ ამბების შესახებ. 25 ივნისს გარეშე საქ. მინისტრის ამხანაგის მიერ ბაქოში გაიგზავნა შემდეგი დეპეშა: ბაქო, გარეშე საქ. ნარკომს ჰუსეინოვს. ასლი საქართველოს წარმომადგენელს ალშიბაიას. „ჩვენდამი მიღებულ ცნობებით ადერბ. საბჭ. მთავრობას ბაქოში დაუპატიმრებიათ და სამართალში მიუციათ გ. მაყაშვილი და სხვა პირნი, რომელთა გვარები ჩვენ არ ვიცით, რომ ვითომ ისინი მონაწილეობდენ განჯის ამბოხებაში და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მოქმედობდნენ. ვაცხადებთ რა პროტესტს ადერბეიჯანის საბჭოთა მთავრობის ასეთ მოქმედების გამო, რომელნიც არღვევენ აქსტაფის ხელშეკრულების 17 მუხლს, რომლის ძალით ორივე ქვეყნის მოქალაქეთ თავისუფლება ეძლეოდათ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ განურჩევლად საზოგადოებრივ და სამსახურის მდგომარეობისა, ვაცხადებ, ვიცნობთ რა პირადად გენერალ მაყაშვილს, ძალიან ვეჭვობთ იმ ბრალდებაში, რომელიც მას ედება თავის მოღვაწეობაში. გარეშე საქ. მინისტრის მაგიერ ქარცივაძე. 26 ივნისი 1920 წ.".

## ოსების განცხადება

გორის მაზრის, ხაშურის რაიონის და იქენის საზოგადოების ოსებმა მთავრობის თავმჯდომარის სახელზე განაცხადეს: ჩვენ ზემოაღნიშნულ რაიონების მცხოვრებნი, ვაცხადებთ, რომ არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს და არა გვქონია მთის ოსეთის აჯანყებასთან, პირიქით გადაჭრით ვკიცხავდით მათ და ამ აჯანყებას დამღუპველათ ვსთვლიდით ოსი ხალხისათვის. ჩვენ ოსები იმდენათ გავითქვიფეთ ქართველი ხალხის მასსასთან, რომ ჩვენსა და ქართველებს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მათი გამოსვლის დროს ჩვენ გამოგვიგზავნეს აგიტატორები, რომლებიც ასაჯანყებლათ მოგვიწოდებდენ, მაგრამ მაშინ ჩვენი რაიონის ოსები არ გაყვნენ ბნელ ელემენტებს. თუმცა ბანდებმა თავისი მოქმედება ჩვენი რაიონში გადმოიტანეს, მაგრამ მშვიდობიანმა ოსმა მოსახლეობამ არა თუ მიიღო ამაში მონაწილეობა, არამედ თვით დაზარალდა მათგან და ეხლა სასურსათო კრიზისს განიცდის. ვაცნობთ რა ამის შესახებ მთავრობას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შეძლებას მოგვცემენ განვაგრძოთ მშვიდობიანი მუშაობა და ჩვენ ჩვენის მხრით გეფიცებით პატიოსნებასა და სინიდისს, რომ მთავრობის ყველა მოთხოვნილებას სისწორით ავასრულებთ.

## უცხოეთი

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები).

**ლონდონი.** „მატენი" იუწყება: კრასინთან მოლაპარაკების შეწყვეტამდე ლოიდ ჯორჯსა და ინგლისის კაბინეტის მრავალ წევრს დაფარული თათბირი ქონდათ მასთან. თათბირი გაგრძელდა 2 საათზე მეტს და მოცული იყო ღრმა საიდუმლოებით. მიუხედავათ იმისა, რომ დაეფარათ საზოგადოებისაგან ეს ცნობა, მაინც გამოირკვა, რომ ლოიდ ჯორჯმა მოსთხოვა ბოლშევიკების წარმომადგენელს სრული გარანტია იმ პუნქტების აღსრულებისა, რომელიც პირველ შეხვედრისას იყო აღნიშნული და მათ შორის იმ პუნქტებისა, სადაც ნათქვამია შესწყვიტონ ბოლშევიკური პროპაგანდა აღმოსავლეთში და განსაკუთრებით კი სპარსეთში. კრასინმა არ მისცა მას დამაკმაყოფილებელი პასუხი და მოითხოვა დრო მოლაპარაკებოდა მოსკოვს. ლოიდ ჯორჯი იძულებული იყო გაეცხადებია, რომ ინგლისი კატეგორიულად უარს აცხადებს დაიწყოს რუსეთთან ოფიციალური სავაჭრო დამოკიდებულება, თუ საბჭოთა რუსეთი არ მისცემს აუცილებელ გარანტიას, რომელსაც მისგან მოითხოვენ. ამ მოლაპარაკების შედეგი ასეთია: კომერციული მოლაპარაკება რუსეთსა და ინგლისს შორის დროებით შეწყვეტილია.

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ განიხილა რა მოსკოვის მთავრობის ოფიციალური ნოტა, გამოაცხადა თავის თავი დაუკმაყოფილებლად იმ ნაწილში, რომელიც გარანტიებს ეხება, რუსეთი წარმოადგენს ფედერატიულ რესპუბლიკას, ამიტომ საქონლის გამგზავნელს, რომელიც ამა, თუ იმ სახელმწიფოში გზავნის საქონელს, არა აქვს საკმარისი გარანტია იმისა, რომ ამ საქონელს არ დააკავებენ ამა, თუ იმ ქვეყანაში, რომელშიც ეს საქონელი ტრანზიტით გაივლის. დაბოლოს, ღიათ რჩება საკითხი იმის შესახებ აღიარებენ, თუ არა კრასინის მისიასა და მის რწმუნებულებს მოსკოვის მთავრობის გარდა რესპუბლიკის ყველა მთავრობები, რომლებიც მოსკოვთან ფედერატიულ კავშირში იმყოფებიან. და ბოლოს უმაღლესმა საბჭომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კრასინს მთავრობისაგან არა აქვს ოფიციალური საბუთი და ქაღალდები თავის რწმუნებულობის შესახებ, რომ მისი რწმუნებულება მოცემულია მხოლოდ რადიო-დეპეშით რაც, რასაკვირველია, საკმარისი არ არის.

6 ივნისს თეირანიდან ინგლისის სარდლობისაგან რადიოთი ცნობა მოვიდა, რომ ინგლისელებმა რეშტის ევაკუაცია მოახდინეს, რადგან არ ქონდათ რწმუნებულება და ამიტომ არ ჩასთვალეს შესაძლებლად ებრძოლათ ბოლშევიკებთან, რომელთაც ქალაქი დაიპყრეს. ენზელში თავს იყრის ბოლშევიკური ძალების დიდი ნაწილი.

**პარიზი.** გუსტავ ერვე გაზეთ „გამარჯვება"-ში სწერს: „უნდა გვახსოვდეს, რომ ბოლშევიზმის ბურუსი გაიფანტება რუსეთში და მაშინ ჩვენ საქმე გვექნება პატრიოტულ რუსეთთანაო. როგორც ეტყობა ლოიდ-ჯორჯს, სურს, რომ ამ პატრიოტულმა რუსეთმა გერმანიასთან კავშირში ბოლშევიკების მაგიერათ გადაგვისახოსო.

**კონსტანტინოპოლი.** „სტამბოლი" იუწყება: თეირანიდან მოსული ცნობით თავრიზში მდგომარეობა გაუმჯობესდა. ბოლშევიკებმა მოახდინეს ქალაქის ევაკუაცია. ენზელში ბოლშევიკებმა რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე სიკვდილით დასაჯეს.

**ყირიმი.** ტფილისში სევასტოპოლიდან ჩამოვიდა მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი დ. კ. ვაჩეიშვილი, რომელიც გაგზავნილი იყო მთავრობის მიერ საქართველოსთვის ყუბანში დამზადებულ ხორბლის მდგომარეობის გამოსარკვევად. ს. დ. ს. თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მან შესძლო დადებით შედეგების მიღწევა და ნაყიდი ხორბლის ნაწილი, რომელიც იქ იყო დამზადებული, უკვე მოვიდა ფოთში და ნაწილი კი გზაშიაო, გენ ვრანგელის ჯარმა უკანასკნელ ხანებში დიდძალი ხორბალი ჩაიგდო ხელში. ეს ხორბალი დამზადებული იყო ცენტრალურ რუსეთში გასაგზავნად. მელიტოპოლში ვრანგელის ჯარმა ხელთ იგდო $4^1/_2$ მილ. ფუთი ხორბალი ალეშკის აღების დროს კი ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი. სხვათა შორის ვაჩეიშვილი იუწყება, რომ ყირიმში ამ ჟამად იმყოფება ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოთა მისია, იმყოფება აგრეთვე პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთის და ფინეთის მისიები. ყირიმის ნავთსადგურებში დიდი ტრანსპორტი მოდის იარაღებითა და ტანისამოსით. ამ ჟამად სამოქალაქო მართველობის სათავეში სდგას ა. ვ. კრივოშეინი, რომელსაც გენ. ვრანგელმა მინისტრთა საბჭოს შედგენა დაავალა. ამ ჟამად მოლაპარაკებაა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საბჭოს მოწესრიგების შესახებ.

## სასურსათო ცხოვრება

### ბაზარზე ფასების დაწევა.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების გამგემ ფანიევმა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელის შეკითხვაზე, თუ რით შეიძლება აიხსნას ბაზარზე სანოვაგეზე ფასების აწევა, განაცხადა: ფასების აწევას უსათუოდ აქვს დროებითი ხასიათი და გამოწვეულია ინგლისელების ბათომიდან წასასვლელად მომზადების გამო და ყველა იმ ხმები, რომელსაც ავრცელებენ, როგორც ბათომში, აგრეთვე თფილისში. ზოგმა კომერსანტმა დაიწყო თავის საქონლის გაზიდვა და ამის შედეგი არის ის, რომ გაძვირდა ვალიუტა და მასთან საქონელიც. მაგრამ როცა კი გაიგეს, რომ ბათომის ოლქი საქართველოს გადმოეცემა და ზომებია მიღებული წესრიგის დასაცავათ, პანიკა შეწყდა და ეხლა თამამად შეიძლება, ითქვას, რომ ფასებს თანდათან დაწევა ემჩნევა. ბათომის საქართველოზე გადაცემის შემდეგ საქართველოს სავაჭრო ოპერაციები, უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს დ საქონლის ფასი მეტად დაიწევს. ამის დამამტკიცებელია გაძლიერებული წინადადებანი უცხო საქონლის მოტანის შესახებ, რომელიც მრავლად შემოდის ჩვენ განყოფილებაში, ზოგი წინადადება მივიღეთ და პირობა შევკარით, ზოგიერთ ხელშეკრულებით უკვე დავიწყეთ ზოგი საქონლის მიღება. ეს საშუალებას გვაძლევს იმედიანათ ვუცქიროთ მომავალს და გვწამდეს ბაზარზე ნორმალურ ფასების აღდგენა.

### გლაუბერის მარილი.

თფილისში დაბრუნდა ინ. ყიფშიძის მეთაურობით წასული სამთა-მადნო სამმართველოს კომისია, რომელმაც კვლევა-ძიება მოახდინა სოფ. მუხრავანში, უჯარმაში, საცხენისში, ახალსოფელში და ნორიოში. კომისიამ დაათვალიერა მუხრავანთან ახლო მყოფი გლაუბერის ქარხანა. კომისიამ აღნიშნა გლაუბერის მარილის დამუშავების ცუდი მდგომარეობა. ამ ჟამად სამრეწველოზე არის 40 ათასი ფუთი, წინეთ დამზადებული გლაუბერის მარილი. იმავ კომისიამ დაათვალიერა ნავთიანი ადგილები, ნავთის ნიშნები სჩანს თითხის ნიადაგში რამდენიმე ვერსტის სიგრძეზე მდიორსა დ სოფ. ნორიოს შორის. წინეთ მუხრავანთან ნავთს იღებდენ ღრმა გუბიდან. კომისიის აზრით ამგვარათვე შეიძლება ახლაც ნავთის ამოღება და ამიტომ მიზნათ აქვთ მუხრავანში ამოსთხარონ სასინჯი ჭა. სამთო-მადნო სამმართველო ფიქრობს ჯერ-ჯერობით გამოიკვლიოს კახეთის ზოგი ნავთიანი რაიონი და შემდეგ შეუდგეს ნავთის საშოვარ მუშაობას.

### ამერიკის ფქვილი.

19-29 ივ. საღ. ბათომიდან გამოზიდულია 509 ვაგონი ამერიკული ფქვილი. 30 ივნ. მიტანილი იყო კიდევ 100 ვაგონი. თფილისში გატანილ ფქვილიდან სამარშრუტო მატარებლით გადაგზავნილია 400 ვაგონი ფქვილი.

ფოთში მოვიდა ამერიკის გემ. „ასტორია" 550,000 ფუთი ფქვილით სომხეთისა და საქართველოსათვის. ეს ფქვილი უკვე გადატვირთულია. ამას გარდა ფოთში მოვიდა ორი ბარჟა სიმინდით, რომელიც მომარაგების სამ. სავაჭრო განყოფილებისათვისაა დანიშნული.

## ფოსტა-ტელეგრაფში.

### ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ შეიმუშავა სტატისტიკური უწყება რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მოქმედების შესახებ მაისის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში გადაუგზავნიათ უბრალო წერილი, ბანდეროლი და სხ. 851.158. დაზღვეული წერილი 42. 451 წერილები განცხადებულ ღირებულებით 1.259 სულ 379.625.777 მან. ღირებულებისა. ფოსტით და ტელეგრაფით ყოფილა 15,565 გადაგზავნა. სულ 70.216.444 მან. ღირებულებისა. სხვა და სხვა დეპეშა ყოფილა 275 051. ამ უწყებას თუ შევადარებთ წარსული წლის უწყებას დავინახავთ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მოქმედება გაძლიერებულა. დეპეშების რიცხვი გაზრდილა 13.127, უბრალო წერილები ზედმეტი გადაგზავნილა 129.617-ით, დაზღვეული მეტი გადაგზავნილა 15.952-ით, შემცირებულა მხოლოდ ფასიანი ამანათის გადაგზავნა 19-ით, რადგანაც ადერბეიჯანთან დამოკიდებულება არ არსებობს.

### ფოსტა-ტელეგრაფი ბათომში.

საფოსტო-სატელეგრაფო უწყებამ გამოიმუშავა რესპუბლიკაში არსებულ შტატების მიხედვით ბათომისა და ბათომის ოლქის საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებათა შტატები. პროექტით ოლქის საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებათა პირადი შემადგენლობისათვის მოთხოვნილია 8.794.940 მ.

### ახალი საფ.-სატელ. დაწესებულებანი.

ამ დღეებში გაიხსნა ტფის. მაზრის სოფ. ქვემო ჯალაში და ზუგდიდის მაზრის სოფ. დარჩელში.

### ტელეგრაფის ახალი ხაზები.

სამხედრო უწყებამ გამოჰყო განსაკუთრებული სატელეგრაფო როტა, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას ეხმარება ახალ ტელეგრაფის მუდმივ ხაზების გაყვანასა და ძველის აღდგენაში. მუშაობა სწარმოებს ქუთაისის გუბერნიაში, ახალციხის მაზრაში, წითელ ხიდთან და სხ.

## რკინის გზაზე

### საფუთო გადასახადი.

საფუთო გადასახადს ქალაქთა სასარგებლოდ აქამდე რკ. გზის მოხელეები ჰკრებავდენ და 5% იღებდენ რკინის გზის სასარგებლოდ, მაგრამ რადგან რკინის ანგარიშები ფულის მიღების რამდენიმე თვის შემდეგ სწორდება და ქალაქთა თვითმართველობას კი ფულის მიღება მაშინვე ჰსურს, ქალაქებს ნება მიეცათ პირველ ივლისიდან სადგურზე

თავიანთი მოხელე იყოლიონ და ფული თითონვე მოაგროვონ. ძველი წესით საფუთო გადასახადის აკრება ტფილისში რჩება თანახმად ტფილისის თვითმართველობის სურვილისა.

**სანატორიუმის გახსნა.**

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მოსწავლე ავადმყოფ შვილებისთვის პატარა ცემში ექიმ ლამბაშიძისეულ სახლში რკ. გზელთა სასურსათო კომიტეტმა გახსნა სანატორიუმი, რომელიც მოქმედებას დაიწყებს 4 ივლისს. მატარებლები № 3 და 4 ამის გამო თითო წუთით გაჩერდება ლამბაშიძისეულ ბაქანზე.

**რკინის გზელთა კონფერენცია.**

კონფერენციის მესამე სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ადგილებიდან. ილაპარაკეს ფოთის, სამტრედიის, ბათომის, ქუთაისის, შორაპნის, ხაშურის და ნავთლუღის რკინის გზელთა წარმომადგენლებმა. ისინი აღნიშნავდენ სიძნელეს ბინის საკითხში, ამიტომ კონფერენცია შეუდგა ბინის შესახებ წესდებისა და ინსტრუქციების გამომუშავებას პარიტეტულ კომისიებისათვის, რომელთაც მინდობილი აქვთ მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა.

**მისალმება სახალხო გვარდიას.**

რკინის გზელთა კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, სადაც აღნიშნავს, სახალხო გვარდიის გმირობას და უსურვებს მას დღეგრძელობას და კეთილდღეობას.

— ექსპლოტაციის უფროსმა ბ. აბელოვმა განკარგულება გასცა, რათა ყველა უტორმაზო და დახურული ვაგონი, რომლებიც სახელოსნოებში მოაქვთ შესაკეთებლად, გამოუშვან ტორმოზებით და დანომრილი, რადგანაც სურამის გადასავალზე საბარგო მატარებლებს ესაჭიროებათ 75% ტორმოზიანი ვაგონებისა. ეს ვაგონები არ უნდა გადაეცეს პირდაპირ მიმოსვლისათვის სხვა გზებს.

**რკინის გზის მილიცია.**

შინაგან საქმეთა სამინ. დაასრულეს რკინის გზის მილიციის შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. არსებული შტატი გადიდებულია ნატანებისა და ხეთა ზუგდიდის რკინის გზის მილიციის შტატების შიგ შეტანით. ამასთანავე გადიდებულია კახეთის რკინის გზის შტატი.

# ახალი ამბები

✦ **ფრონტის სასარგებლოთ.** მუნიციპალურ მოსამსახურეთა და მუშების დელეგატთა კრებამ გადასწყვიტა 20.000 მან. შესწირეს ფრონტს.

✦ **„ჩემო“** ფინანსთა მინისტრმა განუმარტა შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებას „ჩემოს“, რომ „ჩემოში“ შემავალ უცხოელ ფირმებათ ითვლება მხოლოდ ის ფირმები, რომელთა წესდებაც არ დაუმტკიცებია საქართველოს, ან და წინეთ რუსეთის მთავრობას.

✦ **სომხეთის სესხი.** სომხეთის დამოუკიდებლობის სესხი საქართველოში იხსნება 10 ივლისს.

✦ **მიწის ძვრა გორში.** სამთო-მადნო სამმართველოს მიერ მიღებულ ცნობების თანახმად გორში 28 ივნისს 18 საათზე და 29 ივნისს 8 საათზე შენიშნულია მიწის ძვრა, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით ყოფილა მიმართული.

✦ **იტალია კავკასიის გამნაღდებელი ბანკი.** იტალია-კავკასიის გამნაღდებელ ბანკის ტფილისის განყოფილება აუწყებს საზოგადოებას, რომ ის ამ მოკლე დროში ფიქრობს ოფიციალურად დაიწყოს თავის მოქმედება, როგორც იტალია-კავკასიის გამნაღდებელ ბანკის განყოფილებამ. იტალია-კავკასიის გამნაღდებელ ბანკს ერობათა კავშირისთვის არ მიუცია ფული მისი მოქმედების გასაფართოვებლად, არამედ მისცა სესხათ შაბიამანი.

ბანკი ფიქრობს სოხუმიდან ევროპის ერთ ერთ ჩრდილოეთის ნავთსადგურში საქართველოს მთავრობის დავალებით და ხარჯით გაგზავნოს თუთუნი.

✦ **ობოლ სომეხ ბავშვთა გაგზავნა.** შინ საქმ. სამ. ნება დართო საქართველ. რკ. გზით სომხეთში უფასოდ 600 ობოლ ბავშვის გადაყვანისა.

✦ **განათლების სამინისტროში.** რესპუბლიკის საშუალო ტეხნიკურ და პროფესიონალურ სასწავლებელთა მთავარ გამგეთ დაინიშნა მ. ი. თაქთაქიშვილი.

✦ **ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკის კომიტეტი.** გენერალურ დირექტორთა პოლკ. ჰასკელის მაგიერ დანიშნეს იარროუ, რომელიც უკვე გაემგზავრა სომხეთს.

✦ **ჟურნალი „ხელოვნება“.** ახლო მომავალში თბილისში ხელოვანთა ცენტრის დადგენილებით გამოვა ყოველთვიური ჟურნალი „ხელოვნება“ ჟურნალში დაიბეჭდება ბელეტრისტიული, დრამატიული ნაწარმოებანი, ლექსები, ლიტერატურული, ესთეტიური და თეატრალური კრიტიკა. ჟურნალში დათმობილი ექნება ადგილი მხატვრობის, და მუსიკალურ ხელოვნების დარგსაც. მონაწილეობას იღებენ ქართველ საუკეთესო ხელოვანნი.

✦ შაბათს, 10 ივლისს ქართულ კლუბში განმეორებული იქნება ნიკო სულხანიშვილის საღამო იმავე პროგრამით რა პროგრამითაც სახელმწიფო თეატრში იყო გამართული საღამო. საღამოს წმინდა შემოსავალი გადაიდება განსვენებულ კომპოზიტორის ოჯახის სასარგებლოდ. საღამოში მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობთა ძალები.

✦ **ავტ.-მაბილებით მიმოსვლა ტფილის-კავკავს შორის.** მთავრობამ ნება დართო შოფერების პირველ ამხანაგობას ტფილისსა და კავკავის შორის ავტომობილების მიმოსვლის დაწყებისა.

✦ **სამასწავლებლო კურსები ოზურგეთში.** ოზურგეთის სამაზრო ერობის მიერ მოწყობილი სამოსწავლო კურსები გაიხსნება 15 ივლისს და გაგრძელდება 10 სექტემბრამდე- კურსების შემდეგ დანიშნულია გამოცდები.

✦ **კინტრიშის ხიდის ამფეთქებლები.** გაგრაში დააპატიმრეს კომუნისტების კომიტეტი სურგულაძის მეთაურობით, ის მონაწილეობას იღებდა კინტრიშის ხიდის აფეთქებაში. კომიტეტი სცდილობდა ჩვენი საზღვრით საბჭოთა რუსეთში წასვლას. დაპატიმრებულნი საველე სასამართლოს გადასცეს.

# საქართველოს დამოუკიდებლობის ფონდისთვის

1918 წ.: 1) საგარეჯოს საკრედიტო ამხანაგობისაგან 2.000 მ. 2) ზესტაფონის მომხმარებელ საზოგადოებისაგან 300 მ. 3) ასტრახანის ქართველებისაგან 100 მ. 4) ყვირილის საურთიერთო ბანკისაგან 2.000 მ. 5) ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფის მოსამსახურ. 1.056 მ. 50 კ.

1919 წ.: 1) ჭიათურის მომხმარებელ საზოგ. „ჩვენი ოჯახი“-ს 3.000 მ. 2) აშოტ ბონდოიანცისაგან ძეგლის „ძმობა, ერთობა და თავისუფლები“-ს ფონდის დასაარსებლად— 10.000 მ. სულ—18.456 მ.

1920 წ.: სიღნაღის მაზრის ერობისაგან შეგროვილი 30.000 მ. სულ 48.000 მან.

## განცხადებანი

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული ი. გელანტია ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 3 აგვისტოს 1920 წ. დილის 10 საათზე ქ. ახალსენაკში ყრილობის სადგომში დანიშნულია საჯარო გაყიდვა უძრავი ქონებისა კუთვნილი გარდაცვალებული პავლე გეგენავას მემკვიდრეების, რომელიც შეადგენს ერთი ნაკვეთი ეზოს ადგილს მდებარე ქ. ფოთში მიხეილის ქუჩაზედ ზომით 200 ოთხ. კუთხ. საჟენს. მიწას-მასზედ დგმული ერთი ხის შენობით ორი განყოფილებაში დახურული კრამიტით. ეს მამული იყიდება მევალე ბარბალე გეგენავასი ვალის დასაკმაყოფილებლად აღმასრულებელი ფურცლის ძალით. მამულზე ყადაღა არ ირიცხება და შეფასებულია 1050 მან. საბუთისა და აწერილობის ნახვა შეიძლება ყრილობის კანცელარიაში ყოველ დღე 9-2 საათ. 1920 წ.
988 4—1

დაიკარგა საბინაო დავთარი, სასამართლოს ქუჩაზე № 22 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კოვლაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
749 3—1

დაიკარგა 20000 მან. კვიტანცია № 39, ალექსანდრე ვლადიმერის ძე ჯაფარიძის სახელზე, მიღებული ცენტრობანკიდან ივნისის 5-ს 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1751 3—1

ქ. სოხუმის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული კესარია იაკობის ასული კარიაგინის მიერ გიორგი ანტონის ძე საფაროვზე და შედგენილ სოხუმის ნოტარიუსი გეგელაშვილთან 28 თებერვალს 1905 წელს, რეესტრი № 4184, გაუქმებულია.
698 1—1

ქოდალოს უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულს სოფ. ჯიმითში მცხოვ. ივანე იაკოფის ძე ჯაფოშვილის მემკვიდრეთ, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები განსვენებულის ქონებაზე მე—10 ტ- 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
699 1—1

1920 წ. 31 მაისს სოხუმის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა სისრულეში მოსაყვანათ შედგენილი 1919 წელს 28 ქრისტეშობისთვეს ნოტარიალური ანდერძი გარდაცვალებულის 2 იანვარს 1920 წელს ვასილ ლაზარეს ძე გოგრიჩიძის, მცხოვრ. ქ. სოხუმისა.
730 1—1

1919 წელს 17 ენკენისთვეს სოხუმის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა სისრულეში მოსაყვანათ შედგენილი 4 ქრისტეშობისთვეს 1918 წელს შინაური ანდერძი გარდაცვალებულის 15 ქრისტეშობისთვეს 1918 წელს ქსენია ივანე ნოვიკინის ასულისა.
729 1—1

ქალაქ ქუთაისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ივანე ლაზარეს ძის ბალანჩივაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ამა ბალანჩივაძის დანაშთ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე1241 მუხ, აღნიშნულ ვადაში.
701 1—1

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს, 13 ნოემბერს 1919 წ. გარდაცვალებულის მცხოვრების სოფელ ონტოფოსას, სენაკის მაზრისა, მიხეილ მეთოს ძის ნადარეიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ნადარეიშვილის ქონებაზე მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
700 1—1

ბორჯომის უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით 846, 847, 848 და 851 მუხ. სისხლ. სამარ. წარ. წესდ. ძალით ეძებენ გაქცეულ ბრალდებულ მიხეილ ვასილის ძე კურილენკოს ქ. ბორჯომში მცხოვრ. ამიტომ ყველა ვინც კი იცნობს მას და იციან მისი ვინაობა ვალდებულნი არიან უჩვენონ ზემოხსენებულ მოსამართლეს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ გადასცენ საალეკუნო გამგეობაში.
691 1—1

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული ი. გელანტია ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ 3 აგვისტოს 1920 წ. დილის 10 საათზე ქ. სენაკში ყრილობის სადგომში, დანიშნულია საჯარო გაყიდვა უძრავი ქონებისა კუთვნილი გარდაცვალებული პლატონ ფალავას მემკვიდრეებს, რომელიც შეადგენს ერთი ნაკვეთი ზომით 200 ოთხ. კუთხ. საჟენი მიწას მაზედ დგმული ერთი ხის სახლით 6 განყოფილებაში დახურული თუნუქით და მდებარე ქ. ფოთში კარნილოვის ქუჩაზედ. № 448, მამული ესე იყიდება საჯაროთ მევალე ქრისტინა მაგნარაძის დასაკმაყოფილებლად, აღმასრულებელ ფურცლის ძალით, და შეფასებულია 1650. მან. მამულზე ყადაღა არ ირიცხება. აწერილობის და საბუთების ნახვა შეიძლება ყოველ დღე ყრილობის სამმართველოში 9 საათიდან 2 საათამდე 1920 წ.
688 1—1

ზუგდიდის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული 25 აგვისტოს 1919 წელსა, სოფ. ზუგდიდში, ზუგდიდის მაზრისა, ილარიონი დავითის ძე ჯგუშიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებული ჯგუშიას ქონებაზე სამოქალაქო კანონთა კრებულის 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში.
728 1—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული გამოჩინებულის ერობის გამგეობიდან და სამხედრო სამსახურის ნუსხა № 3, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან იონა არქიფის ძე ლორიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
727 3—2

დაიკარგა ჯარის კაცის ნუსხა № 44 ვასილ შიოს ძე ჩარკვიანის სახელზე, მიღებული რაჭის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
725 3—2

დაიკარგა პასპორტი ბოშე მიხელაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1736 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, № 2121 მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული წმ. მარინეს ეკლესიიდან. მიხეილ ივანეს ძე ოტიაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1746 3—2

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მთავარი აგენტი ამით აცხადებს, რომ განყოფილების საწყობში მობარებული ვისმე ჯარის კაცის მიერ, 6 აპრილს 1920 წ. 4 ცალი ყუთი, რომელშიაც არის გარდერობი, ტანისამოსის შკაფი, პირსაბანი სამი მარმარილოს დაფებით, პატრონის გამოუცხადებლობის გამო გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საზოგადობის წესდების 11 მუხლის თანახმად.
722 3—2

დაიკარგა მეხუთე ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლ. მოწაფის არჩილ ჯანდიერის მოწაფეობის ბილეთი № 7. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1671 3—3

დაიკარგა პასპორტი № 88, მიღებული გამოჩინებულის თემიდან და ომში დაჭრილთა კავშირის წევრობის ბარათი სურათით— მელქისადეგ ლეონტის ძე ტონიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1680 3—3

დაიკარგა პასპორტი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე იშხანოვის სახელზე, მიღებული ბაქოს ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1681 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა აბაშის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბიდან მიღებული № 669 შტაბის წევრი ივანე ზურაბის ძე მაძალუას სახელზე. მოწმობაში აღნიშნული არის პარაბელიუმის სისტემის რევოლვერის ტარების ნებართვა და დეპეშების კვიტანციები. გაუქმებულათ ჩაითვალოს: 685 3—3

ვექილობა, მიცემული ჩემდამი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბებუთოვისაგან, როგორც მარიამ ივანეს ასულის ბებუთოვის რწმუნებული ევგენი გრიგორის ძე თამამშევზე ეკატერინე ლევანის ასულ თამამშევთან ერთად და გიორგი ივანეს ძე თამამშევზე თამამშევის ქარვასლის სამხრეთ ნაწილის სამართველოთ გაუქმებულია.
731 3—3

დაიკარგა სამგზავრო წლიური ბილეთი, პირადობის მოწმობა (სურათით), მიღებული საქ. სახ. რკ. გზის სამართველოდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან სერგო სტეფანეს ძე გიგილაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1672 3—3

**ჩაი**

**ს. აცანაში (გურია)**

**იყიდება ადგილობრივი საუკეთესო ღირსების გამხმარი ჩაი**

პირობების გაგება შეიძლება მღვდ. მ. ტუსკიასთან.
(ნ.) 6—6

**საზოგ. „კავკაზ და მერკური“ და „ვოსტოჩნოე“-ს ტფილისის კანტორა**

ამით აცხადებს, რომ მის საწყობში (განოვის ქ. № 3) ამა წლის 22 აგვისტოს დილის 11 საათზე საზოგადოების წესდების ძალით

**აუქციონით გაიყიდება მოუთხოვნელი საქონელი**

შემდეგი კვიტანციებით: № 50578—სახლის ავეჯეულობა წონ. 6 ფუთი 08 გ; № 77564 და 77565 მაუდის ნაჭრები წონ. 1048 ფ. 21 გ.; №№ 338963. კანაფის თოკი წონით 126 ფ. № 187541 ხის ბოჭკები წონით 24 ფ.; № 270146—მოკალ ყავა წონ. 33 ფ. 04 გ.; № 71078—ელექტრონის ხელსაწყობი. (ფაიფურის როლიკები № 28,7 და 6) წონ. 38 ფ. 25 გ. და ერთი ლითონის ქსელი (ბადე).
1750 3—1